

ლიტერატურული საქართველო



საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

4 მარტი 2022წ. №2 (4036) ბამოცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი



სარკმლი. 2022 წლის 1 მარტი

Слава Україні! Героям слава!

დიდება უკრაინას! გმირებს დიდება!
 - უკვე კვირაზე მეტია, დიდი და პატარა ამ სიტყვებით ესალმება და ემშვიდობება ერთმანეთს. და არა მარტო უკრაინაში. პუტინის რუსეთის მორიგი სამხედრო ავანტიურა მთელი მსოფლიოსთვის უმთავრეს თავსატეხად და უმძიმეს გამოცდად იქცა. მრავალ ქვეყანაში და მრავალ ქალაქში, მათ შორის - თბილისშიც, სადაც ყოველდღე იმართება ხალხმრავალი მიტინგები უკრაინელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად. უკრაინელები მედგრად იბრძვიან მომხდურთა წინააღმდეგ.
 გამოჩენილი ქართველი პოეტი, მეცნიერი და დიპლომატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, უკრაინის სახალხო პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რაულ ჩილაჩავა მრავალი წელია კიევიში ცხოვრობს.
 24 თებერვლის საღამოს იგი იძულებული გახდა ოჯახის წევრებთან ერთად, რომელთა შორის მისი პანანა შვილიშვილი ევაც არის, დაეტოვებინა თავისი სახლი და დასაველეთისკენ, კარპატებისკენ აეღო გეზი.
 ხოლო წინა საღამოს, როცა უკრაინის რადა საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონს იხილავდა, მან ეს წინასწარმეტყველური ლექსი დაწერა და ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

ჰანო ჩიქვაძე

ომი

გრიცკო ხალიმონენოს

სადღაც წვიმა და...
 სადღაც თოვლი და...
 უკრაინაში ომი მოვიდა!

დუმს თებერვალი,
 ცივი, უმზეო,
 ყველგან ღაღანებს ცეცხლის ჯეჯილი,
 რკინის „ნახირი“ - მინა უმწეო,
 ტანკის მუხლუხით გადაღეჭილი.

ალარ გიგალობს პანგი ღვთიური,
 ირგვლივ სირენის მოთქმა დახვედა -
 ბრძოლის დანყების უვერტიურა,
 ომის ღმერთიც რომ ხელს მოანერდა.

შიშით ვიძინებ.
 შიში მალეძებს,
 ვაითუ, გაქრი და აღარა ხარ.
 მახსოვს აგვისტო -
 ო, ამ „ნახირმა“
 ჩემი მინდვრებიც მოიბალახა.

ხმალი ვიქნე,
 ფარი ვიფარე,
 ტანჯვის ემბაზში სისხლმა გამბანა.
 თქვი, უკრაინავ, შენი იღბალი
 ჩემს ბედისწერას რამ დაამგვანა!

ვინ ააქოთა პანდორას ყუთი,
 რატომ გნამლავენი, მიწავ ნაკურთხო!
 აშლილ ავსულთა ჯილაგი კუთავს,
 სიყვარულს სულში რომ ჩააფურთხოს!

სადღაც ცუნამი,
 სადღაც ღვრცოფი,
 სადღაც ხარები ხნავენი კორიდას,
 ჩაცხრა, წავიდა ცოფი კოვიდის,
 სამაგიეროდ, ომი. მოვიდა!

ო, ჩერემშინავ,
 ცეცხლი ჩაქრება -
 ხმები სირენის, ხმაღთა კვეთების,
 გაგებობს ფესვებს მზე გამარჯვების
 და თეთრ კელაპტრად ამოენთები!

ჯერ კი წვიმა და...
 ჯერ კი თოვლი და...
 უკრაინაში ომი მოვიდა!

27.02.2022.

რაულ ჩილაჩავა

ზვავი



ურდოს გადამთიელთა მიეცა გასაქანი,
 ზეცას ისევ სურავენ ავი პროუექტორები.
 სამტროდ აღმართულია მურა დათვის ტორები,
 არღვევს ჩვეულ სიჩუმეს ტყვიამფრქვევის კაკანი.

სანამ ფიცხი ტაიჭი მძიმე ჯაჭვით აბია,
 ბებური არამზადა ლობე-ყორეს ედება.
 დღეს მთავარი გამხდარა ორკის შემოქმედება,
 სიტყვა რაა, სიტყვაც კი სასიკვდილო აბია!

თითქოს ზვავი ჩამონვა, ჩაკეტა სანიერი.
 მარჯვნივ წახვალ - კლდე არის, მარცხნივ წახვალ - ხრამია.
 იცის ვინმემ, ნეტავი, კაცს საფლავეში რა მიაქვს
 ან რას ნატრობს, როდესაც კვდება სალმოზიერი.

ძმის კუბოსთან თმებს იშლის დარდით გულმოკლული და,
 ძირს მდინარე აღარ დის, მალლა წვიმა ქვავდება,
 რადგან ტაროსს ვერავინ ვერ დაუდგა თავედებად:
 ქონდრისკაცის მუქარა დულს ზარბაზნის ლულიდან.

23 თებერვალი, 2022, კიევი

<p>ეპსკედიცია</p> <p>დათო ახლრაძე</p> <p>83.2</p>	<p>ხსოვნა</p> <p>თანკი ნიშვიტია</p> <p>83.3-5</p>	<p>„ბალიასტომის ქვეყანა“</p> <p>ელგუჯა თავეარიძე</p> <p>83.6-7</p>	<p>მინივალისტური პროზა</p> <p>ჯეჰალ ნიშვია</p> <p>83.8</p>	<p>მინივალისტური პროზა</p> <p>ლიბოკოხივიალიჩისონი შთანანერაბი</p> <p>ააატა ნაცვილივილი</p> <p>83.9</p>
---	---	--	--	--



– მე, პირველად ვარ, მინყალო იქნებ.

...ვდგავარ პომონას ვნების წინაშე, რომ სასწაული ერთხელაც ვნახო და მაიოლის ქალი წვიმამი ვიცი, მომანდის ედემის ნაყოფს. თუ გუბის სარკე ღამით (ო, ნეტავ...) როცა გავხედავ შუქზე ნათურის, ჩემი პროფილით მოჭრილ მონეტას არეკლავს შემდეგ ტიტულატურით: პოეტი, – ის, ვინც გუბურის სარკემ არეკლა, წყველას იმიტომ იმკის, – სიტყვამ ნათქვამმა პორიზონტს აქეთ გაიხშიანა პორიზონტს იქით. რადგან თვით სიტყვა სიტყვასაც აღემატება, როგორც წადილი სურვილს... როცა დუმილით სიჩუმეს ვარდევ, ან როცა სიტყვით მრავლისმთქმელ დუმილს.

დაბლოკილია პოეტის CV-ი, ევროკავშირის ქარტიის ბაჟით და დათარსული CV-ის მასივი პორტებში დამაქვს გამობმულ ბარჯით. ბიოგრაფიის მიბმული ბარჯა განსაბაჟებლად ყოფილა მძიმე პორტიდან პორტში გადამაქვს ანჟან-ბემანის მსგავსად, არ ვკარგავ იმედს, რადგანაც მჯერა, რომ სიტყვის მარშით გავწვდები დროის ანსა და პოეს... რადგანაც Time travel-ის საშვი ევას ვაშლივით ეძლევა პოეტს. ვუგზავნი წერილს კომენტის ასულს, რომ თავგანწირვას დავარქვი ძლევა... დამპალი დრონი ვაჩუქე წარსულს და პალინდრომით ვთქვი: AVE EVA AVE დევნები ამ სიტყვას, – AVE, EVA გეგლს როგორც მოჰყვება EVA,

– AVE, – პირველი ნახვისთან AVE და EVA ახალ კრებულში შEVA.

დრო ერთდროულად მოდის და მიდის, როგორც მდინარე შუაქალაქში, ყოფნა-არყოფნის ნაღებულ ხიდის რესტავრაცია შემდეგს ძალაში და ვინცებ წერას, როგორც სიარულს, როგორც სიმღერას ალყაში მყოფის, რომ ტყემლის ტოტზე მსხდომთა იარუსს მივწვდევ სცენიდან ნათქვამი სტროფით, რომ გავაგონო სამსხვერპლო ოდა ახალი სუნთქვა მძაფრი ლირიკის, რომ პოეტს კვალში ჩაუდგეს მოდა და, რა თქმა უნდა, არა პირიქით. თუ სიცხიანი პოეტი ბოდავს, თუნდაც ისმოდეს ირგვლივ ქილიკი, მაღლიან სიტყვას გაჰყვება მოდა, პოდიუმების ვინრო ბილიკით. თუკი მტკაველით დო-ს მივწვდევ დო-დან და განადიდა ორლანმა მესა და სიცხიანი პოეტის ბოდავა ევქარისტია ამქცია ლექსად, ნითელ ხალიჩას როცა "Dior"-ის ოქტავა დო-მდე გასწვდება დო-დან, მაშინ პოეტი საწყალ იორიკს დახედავს, როგორც ჩადენილ ცოდავს.

და დრო დროდადრო ენდობა ლოგოსს, ვის გაუღივებს ამჯერად ბედი?... დრო თავის რჩეულს მოძებნის, როგორც სპეტაკ პარსიფალს ნიშანი მტრედის. დრო ერთდროულად არის... არ არის... არ არის... არის... თუ არის: – ამინ! – რომ მარმარილოს ქვაში კარარის გადარჩეს იქნებ დიადი ნამი. ...როცა ART-ია მეფის ფეტვიში, ყოფნა-არყოფნას რა აქვს სამსჯელო... ფიროსმანს + ქველი მედირი ლორენცო = მიქელანჯელოს.

დრო ერთდროულად მიდის და მოდის და მიმოსვლაში დროულად ქრება სიმძაფრეს ჰკარგავს შეკობხვა: როდის?... საეკლესიო იკითხავს კრება: დრო, თავად შენ ხომ არა ხარ, რაბი? უნთებენ სანთელს გრაალის ნიშას... პოეტი ფიქრობს, რომ სიტყვის აბით დაათარილებს ეპოქის ნიშანს... დრო = მარადს... დრო = უცებს... არ აღიარებს პორტსა და ბაქანს, დაენვეთება დრო-ჟამის ფურცელს პოეტის სიტყვა, – ეპოქის ლაქა. – ევრიკა! – დროის თარიღად – სიტყვა! – დუმილითაც რომ დროდადრო ისმის, სიტყვა ის, რაც აქამდე ითქვა, რაც ამის შემდეგ ითქმება, ისიც. და ლიტ. დილერებს, – სიტყვის ბარიგებს წმინდა ცეცხლივით გავწვდევ სიტყვას, როცა საღამო ჩამოარბევს მოედნის მტრედებს და ღვინის ჭიქას. ფრანგული ღვინის მტვირან ბოთლების თანხას თუ გასწვდა ჩემი საფულე, აკუტავაგა მეტყვის ბოდღერის რომ ერთ სტრიქონად არ ღირს სოფელი. ცარიელ ჯიბით ვუკვეთავ ფრანგულს, ღირებულება თუმცა აქვს ცოფის – გახსენით CHABLIS, – დაასხით GRAND CRU! ამაღამ ვიხდი ბოდღერის სტროფით, ვუკვეთავ ფრანგულს გარეშე გროშის, აკუტავაგავს ფრანხის არ იყოს... და სიტყვის დროში შევდივარ დროში, რომ იქნებ ანყო დავათარილო.

ღათო მალრაძე

ეკსპერიენცია

წერას ყოველთვის ვინცებ პროლოგით, ეს მკითხველებმა კარგად იციან და, როგორც სულის არქეოლოგი, გთავაზობთ ახალ ექსპედიციას, რომ მოვაშორო ორიოდ სიტყვით საგრომიროს საგმირო გრიმი ბელადს, რომ ველარ მოქსოვოს მითი, საბარტონოდ ნაცადი კრინით. პროგრესისტიების არ წყდება რიგი, საითაც გინდა პირი იბრუნე... – ჯვარს აცვი იგი! – ჯვარს აცვი იგი! გააქვთ გუგუნე მალალ ტრიბუნებს. მის კდემას, – ბომონდს და პოლიტ. ისტე-ბლიმენტს სურთ დროში გაგრძელდეს ჯვარცმა, მე კი მსურს კაცში იხაროს ქრისტემ, რომ გაიხაროს ქრისტეში კაცმა. ველარ ვენდობი რომაელ კონსულს, ვერც კაიაფას სამართლის წიგნებს, ვეტყვი დიდებით მეორედ მოსულს:

გმლოდ ჩეკლია



ტელეგადაცემაში „მეჩვიდმეტე სართული“ (29 იანვარი, 2022 წელი. „ფორმულა“) მორიგი სარეკლამო კამპანია გაიმართა ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ „ელენე ბაქრაძე-დარიანის“ მემუარებისა და ლექსების, მდაბიურად რომ ვთქვათ – „გასაპიარებლად“. ამ წიგნში აღმოჩენილ (ან კიდევ გაუმულავნებელ) ცდომილებებზე არას მოგახსენებთ, მით უმეტეს, რომ სოციალურ ქსელებში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ დასრულებულა დისკუსია.

პირველი გამოწვევითი სტატია აბსურდულ თემაზე, – პაოლო იაშვილის 14 ლექსი მას ეკუთვნის თუ არა, – 1997 წელს გამოვაქვეყნე ბოლო – 2014 წელს. ჩინებულმა მკვლევარმა ზეინაბ ლომჯარიამ 2000 წელს გამოსცა სამწლიანი შრომის ნაყოფი – „ელენე დარიანი“. შეგნებულად არ ვასახელებ სხვებს, რათა ელენე ბაქრაძის „პაოლოგეტა“ სამიზნედ არ იქცნენ. 2017 წელს წიგნში „პაოლო იაშვილი. მონოგრაფია, ესეები“ შეძლებისამებრ გადმოვეცი არა მხოლოდ პაოლო იაშვილის, არამედ ცისფერყანწელთა როლი ქართული პოეზიის ევროპეიზაციის საქმეში. აქვეა რამდენიმე ესეი საერთო სათაურით: „აურზაური არაფრის გამო, ანუ ელენე დარიანის მითი“. ამ 360 გვერდიანი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ შევბით ამოვისუნთქე, თანაც თითქოს ვალიც გავისტუმრე, მარტო პაოლო იაშვილის მიმართ კი არა: ინსინუაციები „ცისფერ ორდენზე“ დღესაც ვრცელდება.

ბევრი უკადრებელიც მაკადრეს თავის დროზე ცისფერყანწელთა ქომავობისათვის; „მეჩვიდმეტე სართლის“ შოუში თუ „მომხვდებოდა“, ამას კი აღარ ველოდი.

ლაშა ბაქრაძემ, ელენე დარიანის მეორედ „აღმომჩენმა“, განაცხადა როგორ ჩაქოლეს, როგორი სიტყვებით შეამკეს „პირველადმოჩენი“ გიორგი ჯავახიშვილი „ტილუ“, „უვიცი“ უნდეს და ქალაქის ნაგლეჯზე აკაკი ბაქრაძის დღემდე გამოუქვეყნებელი ჩანაწერი ნაიკითხა: ქალი მკვლევრები ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე მუშაობისას მას თავის საკუთრებად მიიჩნევენო (ლალი ავალიანი – პაოლო იაშვილი).

ასეთი ულოგიკო გადასვლით (არ ვიცი, წინასწარ იყო გამიზნული თუ არა) მე დადასტურებულად აღმოვჩნდი ჩამქოლავი და ან განსვენებული გიორგი ჯავახიშვილის უშვილო სიტყვებით („ტილუ“ ჩემს ლექსიკონში საერთოდ არ შედის!) მაგინებელი.

პოლემიკა მწვავე კი იყო, მაგრამ არც გიორგი ჯავახიშვილი და არც ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი მომიხსენებია ოდესმე ასე უდიერად.

არ ვიცი, რად დასჭირდა მამის ავტორიტეტის მოშველიება თმაგა-

ჭალარავებულ ლაშა ბაქრაძეს, ან მისმა „ფემინისტურმა“ გარემოცვამ რატომ მიიჩნია მართებულად მკვლევართა გენდერული ნიშნით დაყოფა (ქალი მკვლევრები და მამაკაცი მკვლევრები?). იქნებ მისი ცინცხალი ფანტაზიის ნაყოფიც იყოს ეს ჩანაწერი, თუ მართლაც აკაკი ბაქრაძისაა, ჩემგან სასაყვედურო არაფერი ეთქმის; მოსაზრება იმის თაობაზე, ლიტერატორებს ისე გაიტაცებთ ხოლმე კვლევის ობიექტი, რომ თავის საკუთრებად მიაჩნიათ, არახალია, ძველია: არა მარტო სხვადასხვა ეროვნების მეცნიერებს, მთარგმნელებსაც აქვთ აღნიშნული, რომ საკვლევ თუ სათარგმნელ მასალაში დანთქმულებს ერთხანს უჭირთ მისგან თავის დაღწევა.

დიდად ვაფასებდი აკაკი ბაქრაძეს, მის მჭევრმეტყველებას, კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებს; „მწერლობის მოთვინიერება“ და „კარდუ“ დღემდე ჩემი სამაგიდო წიგნებია.

მონოგრაფია პაოლო იაშვილზე (რომელზეც სრულიდაც არ ვარ „დაცვიკლული“) ჩემი ერთ-ერთი ნაშრომია, დარწმუნებული ვარ, ლაშა ბაქრაძეს ჩემს ტექსტებში

არასოდეს ჩაუხედავს; მამამისისგან განსხვავებით.

აკაკი ბაქრაძე „ქალი მკვლევრების“ დამონმებას არ თაკილობდა: „გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობას ბევრი გამოეხმაურა, მათ შორის არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი უზნაძე და ლევან მეტრეველი. გრიგოლ რობაქიძის, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, არჩილ ჯორჯაძის, დიმიტრი უზნაძის და ლევან მეტრეველის პოლემიკა – კამათი შესწავლილი აქვს ლალი ავალიანს. მასალებიც და ნარკვევებაც გამოქვეყნებული. ზუსტი და უტყუარია ლალი ავალიანის დასკვნა: „სანიშნო და სამაგალითო აღმოჩნდა მოპაექრეთა ეთიკა – პირუთვნელობასა და ობიექტურობასთან შეზავებული, ზრდილი, თავშეკავებული ტონი, უღრმესი პატივისცემა და მაღლიერების გამჟღავნება ერთურობის მიმართ“. მართლაც, არჩილ ჯორჯაძის, დიმიტრი უზნაძის, ლევან მეტრეველის, გრიგოლ რობაქიძის პაექრობა დისკუსიის ეთიკის გაკვეთილია“ (ა. ბაქრაძე „კარდუ“, 1999 წ.) ლაშა ბაქრაძე კი აშკარად მოიკოჭლებს „დისკუსიის ეთიკაში“.

ლალი ავალიანი

ძრისტიანული პოეზიის XII ფესტივალი

„წმინდა ნინოს ჯვარი“ ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი უნდა გამოგზავნონ ამა წლის 20 მარტის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: festivali2011@mail.ru festivali2011@yahoo.com ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი. ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით: მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი; პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი; პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალი. ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და გაიცემა საფესტივალო პრიზები. ფესტივალი ჩატარდება 2022 წლის 10 მაისს. საკონტაქტო ტელეფონი: 599 579 111

პროფესორი თენგიზ ნივნივაძე



სამეცნიერო საზოგადოებას დააკლდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის (აშშ) მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თენგიზ ნივნივაძე.

თენგიზ ნივნივაძე დაიბადა 1940 წლის 10 მაისს ქ. ქუთაისში. 1969 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. 1970-1975 წლებში ამავე ინსტიტუტის ასპირანტი.

1975 წელს მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1995 წელს წარმატებით დაცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

თენგიზ ნივნივაძე 1979 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ასისტენტის, დოცენტის, ხოლო 1992 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე. კითხულობდა ზოგადი, არაორგანული და კოორდინაციული ქიმიის ლექციების კურსს. შეთავსებით კითხულობდა ლექციებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში.

1992-1993 წლებში იყო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

2003-2005 წლებში იგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სინთეზისა და თვისებების კვლევის პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელად; 2005 წლიდან ხელმძღვანელობდა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრს.

საქართველოში ტექნიკური მეცნიერების განვითარებისა და საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის თენგიზ ნივნივაძე დაჯილდოებულია ღირსების მედლითა და ორდენით (1998-1999 წლები).

1998 წელს თანამშრომლებთან ერთად ნაშრომების ციკლისათვის „ლითონების კოორდინაციული ნაერთები: სინთეზი, აღნაგობა, თვისება“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

თენგიზ ნივნივაძეს გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 5 მონოგრაფია, არის 4 დაპატენტებული გამოგონების ავტორი.

წლების განმავლობაში მისი სამეცნიერო კვლევის სფერო იყო კოორდინაციული ნაერთების ქიმია. ამ სფეროში მის მიერ შესრულებული სამუშაოები (თანაავტორებთან ერთად) გამოიჩინა მეცნიერული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტილი. მისი მიზანმიმართული სინთეზისა და კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა ბიოლოგიური და ბიოლიგანდები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასიცოცხლო პროცესებსა და ნივთიერებათა მეტაბოლიზმში. მისი მონოგრაფიები და კვლევები ეხება მეტრონიდაზოლის სტრუქტურულ თავისებურებათა გამოკვლევასა და სპილენძის კომპლექსთა ბიოაქტიურობის კონცეფციის შემუშავებაში პირდინკარბონმჟავა ამიდებთან კობალტისა და სპილენძის ბიოკოორდინაციული ნაერთების სინთეზსა და მათი თვისებების შესწავლას, ბიოაქტიური კომპლექსნაერთების გამოყენებას ახალ ტექნოლოგიებში. არაერთი სამუშაო მიუძღვნა ბიოკოორდინაციული ნაერთების როლის შესწავლას არატრადიციული სამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა და კვების პროდუქტების შემუშავებაში. მეცნიერის მიერ ჩატარებული მიზანმიმართული კვლევის შედეგად აღმოჩნდა,

რომ მეტალთა კოორდინაციული ნაერთების წარმოქმნით შესაძლებელია უმჯობესდება მათი ბიოაქტიურობა და საწყის ნივთიერებებთან შედარებით საგრძობლად მცირდება ტოქსიკურობა, მნიშვნელოვნად ფართოვდება ფარმაკოლოგიური ქმედების სპექტრი, რაც სასურველი თვისებების მქონე ახალი ნაერთების მისაღებად მიზანდასახული სინთეზის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ კვლევებით მიღებული შედეგები ფასდაუდებელი წვლილია, საერთოდ, თეორიული ქიმიისა, და, კერძოდ, მეტალთა კოორდინაციული ქიმიის განვითარებაში.

პროფესორმა თენგიზ ნივნივაძემ არაერთი საინტერესო კვლევა მიუძღვნა ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღებას, ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების შესწავლას და მიღებული შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას. საინტერესოა მისი გამოკვლევები, რომლებიც ეხება პათოგენურ მიკროორგანიზმებზე ვერცხლის იონთა ანტიმიკრობული მოქმედების მექანიზმის შესწავლას, ბიოლოგიურად აქტიური ახალი თაობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების დანამატების შემუშავებას. კვების მრეწველობაში (პურის წარმოება) დაინერგა მის მიერ (თანაავტორებთან ერთად) მიღებული არაერთი ახალი ტიპის კონსერვანტი და სტაბილიზატორი.

წლების განმავლობაში იყო არაერთი სადისერტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრი, მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის, სესიისა და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

პროფესორი თენგიზ ნივნივაძე თავის ფართო ერუდიციას უმურველად ახმარდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი მეცნიერების კანდიდატი, მაგისტრი თუ დოქტორი.

თენგიზ ნივნივაძე არის 12 სახელმძღვანელოს ავტორი. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის დაწერილ მის ერთ-ერთ სახელმძღვანელოს – „ზოგადი ქიმია“ – გამოცემლობა „მესხეთმა“ პირველი პრემია მიანიჭა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თენგიზ ნივნივაძის მოღვაწეობა საშუალო სკოლებისათვის ქიმიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. მისი თანაავტორობით დაინერა ქიმიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლის VII-XI კლასებისათვის; აგრეთვე, ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული VII-XI კლასებისათვის; ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმიის სახელმძღვანელო აბიტურიენტებისათვის. მისი მომზადებულია საქართველოში პირველი „ქიმიის საყმანვილო ენციკლოპედია“, რომელმაც საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიპოვა.

თენგიზ ნივნივაძე იყო ერუდიტული პიროვნება, სულით ხორცამდე ინტელიგენტი მეცნიერი მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით. მუდამ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩეულმა პიროვნებამ წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ მშობლიური უნივერსიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს საინჟინრო აკადემია სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

6 მარტს წივნივაძეების დიდი ოჯახის წევრები ერთ ნაწილს განიკითხავს უჭაქტელონიკური უფალო, გვედრები, განუსვენე ახლად შესვენებულ ჩემს ძმას – თენგიზს და დაანესე მისი სული, სადაც მართალნი განისვენებენ. სადა იგი არა არს ქირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულითქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი და მოუტევე მას ყოველი შეცოდებანი მისნი და მიეცი მას საუკუნო ხსენება.

ნარსულის, ანჟოსი და მოგავლის არ ეუიწოდა


ქარში გატანილი სანთელივით ჩაქრა თენგიზ ნივნივაძის მინიერი სიცოცხლე... იმქვეყნიურ განზომილებაში გარდასახა გამორჩეული პიროვნება, პროფესორი, მეცნიერი, პედაგოგი, აღმზრდელი, კოლეგა, მეგობარი, დიდებული მეოჯახე... ნივნივაძეთა იმ ოჯახის ჩინებული წარმომადგენელი, რომლის წიაღიდან დაფრთხილდნენ თამაზ, მურად და დოდო ნივნივაძეები – საზოგადოებრივი, ლიტერატურული, კულტურული, სპორტული სფეროების თვალსაჩინო წარმომადგენლები. თენგიზთან 50-წლიანი მეგობრობა, სამეცნიერო და საზოგადოებრივი თანამშრომლობა მაკავშირებდა და ყოველთვის მხიბლავდა და მოცუბდა მისი ქრისტიანული ზნეობრიობა, სიკეთის ქმნის დიდი სურვილი, პრინციპულობა, განსაცვიფრებელი მოთმინება, ზომიერება და საქმისადმი უანგარო სიყვარული. თენგიზს, ჭეშმარიტ მეცნიერს და ახალი მიმართულებების შემქმნელს, უამრავი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და ნაშრომების ავტორს, უყვარდა გამოთქმა: კაცი, რომელიც 80 წელს მოუკაუნებს და ვერაფერს შექმნის, დიდხანს კი არ ცოცხლობს, არამედ დიდხანს კვდება. თენგიზ ნივნივაძემ ძალიან ადრე დაქარგა მეუღლე, უერთგულესი და უმშ-

ვენიერესი ქალბატონი ნონა ჩოფიკაშვილი, მაგრამ დიდი რუდუნებით აღზარდა შვილები – გიორგი და მაია ნივნივაძეები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებიან სამშობლოს აქ და საზღვარგარეთაც. თენგიზ ნივნივაძეს არასოდეს არ უღალატია თავისი მონესრიგებული და პასუხისმგებლობით აღსავსე ცხოვრებისთვის, ამიტომ, საკუთარი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მას არც წარსულის, არც აწმყოსი და არც მომავლისა არ ეშინოდა. გავა დრო, ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნება თენგიზ ნივნივაძის სახელობის აუდიტორია. იგი გადაიქცევა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეხვედრის, სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივი საკითხების განსჯის ადგილად, სადაც მუდმივად გაიხსენებენ ამაგდარ პროფესორს, პატრიოტს, მამულისმეფელს და პიროვნებას, რომელიც ვალმობილი წავიდა საწუთროდან და ახლა იქ აძლიერებს იმიერ და მუდმივ საუფლოს.

იგორ კვიციანი

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „სასიტორიო ვერტიკალების“ მთავარი რედაქტორი

გაღლიკებით - გაგონ თენგიზს



მალე ორმოცი დღე გასრულდება, რაც ის ზეციური სამეფოსკენ მიმავალ გზას დაადგა. ორმოცი დღის წინ ჩვენი ქალაქის საზოგადოებამ კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, სანიშნო მოქალაქე, დიდი მეცნიერი, ქვეყნის, ჩვენი უნივერსიტეტისა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) და ქიმიური საზოგადოების მოამაგე და მოჭირნახულე დაქარგა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის (აშშ) მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი – ასეთია ბატონი თენგიზ ნივნივაძის მიღწევების არასრული ჩამონათვალი. თენგიზ ნივნივაძე ქართველ ქიმიკოსთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ფართო დიაპაზონის მქონე თეორეტიკოსმა და ექსპერიმენტატორმა თვალსაჩინო კვალი დატოვა და თავისი სიტყვა თქვა კოორდინაციული ქიმიის განვითარების ისტორიაში. დაუღალავმა შრომამ, პიროვნულმა ხიბლმა, პროფესიულმა ალღომ არაერთი წარმატება მოუტანა საზოგადოებრივ და პროფესიულ სარბიელზე. იყო უამრავი სამეცნიერო შრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

თავდაუზოგავი შრომით მან არაერთ ბაკალავრსა და მაგისტრს გაუკვალა გზა პროფესიული და სამეცნიერო მოღვაწეობისაკენ. ახალგაზრდებისადმი სითბო და კეთილგანწყობა საფუძვლად ედო ყველა მის საქმეს. მას შეჰყონდა პედაგოგის უბადლო ნიჭი, სტუდენტისა და საკუთარი პროფესიისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით შეზავებული, იყო ღრმად განსწავლული, ერუდიტული და მაღალკვალიფიციური ლექტორი. ფართო ერუდიციასა და განსწავლულობას უმურველად ახმარდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი მეცნიერების კანდიდატი, მაგისტრი და დოქტორი. მე მის თვალწინ გავიზარდე. ბავშვობიდან მომყვება ერთი წარუშლელი მოგონება: მამის (აკადემიკოსი გივი ცინცაძე) კაბინეტში, დიდ სანერ მაგიდაზე გადაშლილი უამრავი წიგნი, ბატონი თენგიზი და მამა დიდიდან გვიანობამდე მომუშავენი, ხელნაწერებში, სამუშაოში ჩაფულდნი. კარგად მახსოვს, როგორ სათითაოდ წიგნიდან და აანალიზებდნენ თითოეულ სიტყვას, თითოეულ პუნქტს ერთობლივი სტატიების, მონოგრაფიებისა თუ სახელმძღვანელოების წერისას. საქმისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობა, პრინციპულობა, ირგვლივ მყოფი ადამიანებისადმი კეთილგანწყობა, ინტელიგენტურობა – აი, ის თვისებები, რითიც გამოირჩეოდა და მუდამ დარჩება ჩემს მესხიერებაში ბატონი თენგიზ ნივნივაძე. ადამიანის გონება ვერ სწვდება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს. ადამიანი არის ის, რაც მისგან რჩება გარდაცვალების შემდეგ – ადამიანთა მოგონებები, დატოვებული სითბო, საქმენი და ნაღვანი... ის, რაც ბატონმა თენგიზმა დატოვა როგორც მეცნიერმა და ახალგაზრდობის აღმზრდელმა, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი უნივერსიტეტისა და მეცნიერების ისტორიაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მშობელი ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმობილი მისი სული...

მაია ცინცაძე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩემო თანამ

იშვიათია შემთხვევა, როცა ოჯახიდან ერთი თაობის ოთხი წარმომადგენელი ერთდროულად წარმოჩნდება ერთსა და იმავე სწორედ ასეთი უნიკალური და ძვირფასი წიგნი, რომელიც ოჯახის ქალბატონი დოდა, მისი სამი ძმა: თენგიზი, თამაზი და მურადი ქვეყნისთვის უმძიმეს დროში წარმატებით საქმიანობდნენ და საქვეყნოდ გაითქვეს სახელი, ამიტომაც რამდენიმე წლის წინათ აღფრთოვანებით ვწერდი: ვისაც სამშობლო წამდგომდა უყვარს, წიგნივითა ოჯახზე სწორდეს.

ამჯერად ჩემს მეგობარ თენგიზზე ვისაუბრებ, ოღონდ არ ვიცი, ნამყოფი როგორ ვილაპარაკო ადამიანზე, ვისთანაც ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთობა მაკავშირებს. თუმცა მთელი მისი ცხოვრება და რეგალიები ისედაც ყველაფერს ღალადებენ:

- ფრიადოსანი მოსწავლე;
- წარჩინებული სტუდენტი;
- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
- ნიუ-იორკის (აშშ) მეცნიერებათა აკადემიის წევრი;
- საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;
- ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი;
- ხუთი მონოგრაფიისა და თორმეტი სახელმძღვანელოს ავტორი;
- ოთხი პატენტის მფლობელი;
- ას ოცზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი;
- ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელი ასეულობით სტუდენტისა...

ეს ყველაფერი ერთი დეკადის ნახელავია! ჩვენი ნაცნობობა 1968 წელს შედგა და მალევე მეგობრობაში გადაიზარდა. ხშირად ვსტუმრობდი ჯერ კათედრაზე, მოგვიანებით კაბინეტში, კარის შეღების უმაღლეს დონეზე და გულითადი ღიმილით მომეგებებოდა. ვეხუმრებოდი, ეს კაბინეტი სანახევროდ ჩემია-მეთქი. დანაებით მეტყოდა, ნეტავ, მართლა ასე იყოსო. კონიაკის ბოთლს გამოაძვრინდა, ურთიერთშეხვედრისა და საქართველოს სადღეგრძელოს აუცილებლად შევსებდით. სასაუბრო თემა შემოუსაზღვრელი გახლდათ - თენგიზი ხომ ფრიად ერუდირებული პერსონა იყო. ზოგჯერ მეტყოდა, ახალი რა დანერგე, წამიკითხეო. ერთხელაც კატეგორიულად გამომიცხადა, ლექსები „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მიიტანე, თუ ღირებულა, დაგიბეჭდავენო. როცა გაზეთში ჩემი ლექსები გამოქვეყნდა, ჩემზე არანაკლებ გაიხარა - მას ხომ უშურველი გული ჰქონდა.

ჯერ მეუღლის, შემდეგ ძმების - თამაზისა და მურადის გარდაცვალება მძიმედ განიცადა. ძმა მეც მყავს გარ-



დაცვლილი, საერთო ტკივილმა სულიერად კიდევ მეტად დაგვაახლოვა.

ბევრჯერ უთქვამს, ჟამი მიქრის, ყველაზე ცოცხა მეგობრებზემეოცლილი ბოლო მეგობარიო - ეს მას უკვე აღარ ემუქრება.

ჩვენი შეხვედრები პანდემიამ შეაჩერა - ერთუროს ტელეფონით ვეხმანებოდით.

მიძღვნილი ლექსები საკმაოდ მაქვს, თენგიზე კი არაფერი დამინერია და გადავწყვიტე წელს, 10 მაისს დაბადების დღე ლექსით მიმელოცა. აი, ისიც,

ჩემო თენგიზე

გულით დაგლოცავ შენ, ჩემო თენგიზე,
განგებას შევთხოვ, იყო დღეგრძელი,
როდესაც დროში ძნელი ცხოვრება გერგო,
თუმცა გამარჯვება მაინც შეძელი,
ამაყად დგახარ, თავანული,
არ შეგიბღალავს რაინდს ღირსება,
შეინარჩუნე რიტმი ჩვეული,
გამკობს ძვირფასი ბევრი თვისება.
სუფთა გული გაქვს, სიმართლით სავსე,
ურთიერთობა ძალგდის მარტივი,
სიკეთის მაღლი გადაგდის თავზე,
მრავალს იზიდავ ანდამატივით.
სამაგალითოვ სულით აღნავით,
ტკაცანი იწვი, სიტბოს ასხივებ,
ხარ პიროვნება ასი წახნავით -
ბრილიანტით ბრწყინავს ასივე.

ვაი, რომ დავიგვიანე - ამ ლექსს ყველა წაიკითხავს თენგიზე გარდა. ისლა დამრჩენია, ლექსის სათაური ამ სევდიან მოგონებას დავარქვა.

გულში კიდევ ერთი სიმი ჩანდა. ძალიან ძნელია, მეგობარს წარსული დროით ელაპარაკო და მაინც, ჩემო თენგიზე, შენი სული სასუფეველში შენს ძმებთან გაფრინდა, გონი მეცნიერებაში დატოვე, სხეული კი მშობლიურ მიწას მიაბარე. მსუბუქი ყოფილიყოს იგი შენთვის, ამინ.

ერთი ნიუანსიც, დახედეთ თენგიზის ხელნაწერს, როგორი რულუნებით და სიყვარულითაა ამოგვირისტიებული ყოველი ასო-ნიშანი. ესეც მისი სულის სიფაქის გამოვლინებაა.

- ზატონ თეხა ახანაიძის -
ხალსი წიქისა და ირვლევის ზიხივებას,
ჯივრულ მოღვაწეს და შემაქმედ აბაიანს,
შეხიას, ზოცს, ლტყისადას...
ზავიყვარული და სიყვარული,
სიოვ: თენგიზე ჩემო,
ჩისესწილად 2019-10-04.

იური აბზიანიძე

ჩემი კბა თენგიზე წიგნივითა

ჩემო თენგიზე, უკვე ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა იმ ავადსახსენებელი 26 იანვრიდან, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და სამუდამო სასუფეველი ჰოვე იმ ქვეყანაში. წახვედი ასე მოულოდნელად, ჯერ ისევ ჭარბი, სალ-სალამით და სიცოცხლით სავსე, მეცნიერული შემოქმედების მწვერვალზე მყოფი; კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება სამშობლოს სიყვარულს, ახალგაზრდების აღზრდასა და ქვეყნის ბედნიერებისათვის ზრუნვას მოახმარე. შენი ამ ქვეყნიდან წასვლა არა მარტო ოჯახის, მეგობრებისა და ნათესავების, არამედ მთელი ქვეყნისათვის დიდი დანაკლისია. შენი დაუღალავი შრომითა და მეცნიერული კვლევებით კიდევ რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეგეძლო. მეამაყება, რომ შენი მეგობარი ვიყავი. 1963 წლიდან, როცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები გავხდით, მთელი 59 წლის მანძილზე ერთად მოვდიოდით, ღვიძლი ძმებავით ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით და ერთმანეთს მხარში ვუდებდით. შენისთანა შრომისმოყვარე, ბეჯითი და პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილი კაცი იშვიათად შემხვედრია. მთელი სწავლის პერიოდში ფრიადზე ნაკლები შეფასება არ მიგიღია. შენი დაუშრეტელი ენერჯია იმაშიც გყოფნიდა, რომ ზოგიერთ ჩვენს საერთო „მოზარმაცი“ სტუდენტ მეგობარს ეხმარებოდი და მათემატიკაში ამეცადინებდი, საგანი რომ ჩასაბარებელი არ დარჩენოდა. ამასთან, მეტად თავდაბალსა და უხმაუროს თავზე დიდი წარმოდგენა არ გქონია. შენზე საქებარ სიტყვების თქმას ჩვენც კი, შენს სტუდენტობის-დროინდელ უახლოეს მეგობრებს: თემურ ბუაჩიძეს, გურამ ჭანტურას, თამაზ სულუხიას, ნუგზარ ნაკაიძეს, მერაბ ნერეთელსა და კიდევ ბევრ სხვას კატეგორიულად გვიკრძალავდი. შენმა ასე მოულოდნელად წასვლამ თითოეულ ჩვენგანს უდიდესი ტკივილი მოგვაცენა, თუმცა ის შეზღუდვა და შენზე სიმართლის თქმის აკრძალვა მოგვისხნა. ახლა მაინც უნდა ვთქვა და ვილაპარაკო ის ობიექტური ჭეშმარიტება შენზე, რაც სინამდვილეში იყავი, და ქვეყანას დაეანახო ის თენგიზე წიგნივითა, რასაც წარმოადგენდი. შენ ხომ უწესიერესი კაცის და უსათნოესი ქალბატონის, ივანე და ოლია წიგნივითების ოჯახში დაიბადე, ოჯახში, რომელმაც ქვეყანას ოთხი შესანიშნავი შვილი აღუზარდა. საქართველოში, ალბათ, არც მოიძებნება ოჯახი, რომლის აღზრდელი ოთხი შვილიდან ოთხივე ქვეყნის ისტორიაში ჩასაწერ გამოჩენილ სახელოვან შვილებად წარმოჩენილიყო. მათგან უფროსი შენ იყავი, ჩემო თენგიზე, ქიმიის მეცნიერე-

ბათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ნიუ-იორკისა და საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი... როგორც პოეტი იტყოდა: „ერთ სანყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით აღარ მოეთხოვება“. თამაზი ხომ გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. შუადარბელი კრიტიკოსი, რომელმაც ამ დარგში ახალი მიმართულება შექმნა. ირაკლი აბაშიძეს დავესესხები და მის შეფასებას გავახმოვანებ, რომელმაც თამაზს „სულ ახლებური კრიტიკის მამა“ უწოდა. რაც შეეხება მურადს, საქვეყნოდ ცნობილ ფეხბურთელსა და ქუთაისის ტორპედოს მწვრთნელს, მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული სპორტის წინაშე იმდენად დიდია, რომ ამის ჩამოთვლას აღარ შეუვლება. ქვეყნის მომავალი თაობების აღზრდას წლებია მუხლჩაუხრელად ემსახურება ქალბატონი დოდა - ჟურნალისტი და შემოქმედებით მუშაობაზე სულ რომ არაფერი ვთქვათ, მის წარმოსაჩენად მარტო ასწლოვანი საყმანვილო ჟურნალ „დილა“ რედაქტორობაც კმარა, რომელსაც, აგერ უკვე 26 წელია, სათავეში უდგას.

ჩემო თენგიზე, უდიდესია შენი დამსახურება საქართველოში ზოგადი და არაროგანული ქიმიის განვითარების საქმეში, რასაც ზემო ჩამოთვლილი შენი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობაც ადასტურებს. ღირსეული მასწავლებლის, აკადემიკოსი გივი ცინცაძის ღირსეული მოწაფე იყავი. დიდა მისი ღვაწლი შენი, როგორც მეცნიერის, ჩამოყალიბების საქმეში. შენს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ყოველთვის გახსოვდა და მის წვლილს სათანადოდ აფასებდი. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ბ-ნი გივის 85-ე წლის იუბილეზე შესანიშნავი მოხსენება გააკეთე, რითაც, ფაქტობრივად, მის მიმართ კიდევ ერთხელ გამოხატე უდიდესი პატივისცემა და მასწავლებელს განუვლი სამსახურისათვის მაღლობა გადაუხადე. მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში სამართლიანი და ობიექტური, საქმეში ერთგული და მეგობრობაში უღალატო კაცი იყავი. შენმა ამ თვისებებმა კიდევ უფრო აამაღლა და განამტკიცა ის ავტორიტეტი, რაც საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში გქონდა. ყველაფრით შემკულს არაფერი გაკლდა: შესანიშნავი მეუღლე, ორი ანგელოზივით შვილი, სახელოვანი დედამამი-ვილები - მეტი რაღაა საჭირო, რომ თავი ბედნიერ კაცად იგრძნო. პირველად შენს ცხოვრებაში მწუხრის ხარმა იმ ავადსახსენებელ 1985 წლის 12 დეკემბერს ჩამოკრა, რო-



დესაც გაფურჩქნის ხანაში მყოფი შენი უსაყვარლესი და უსათნოესი მეუღლე, ნონა ჩოგვაშვილი 37 წლის ასაკში ხელიდან გამოგეცალა და სრულიად ახალგაზრდა კაცი ფრთამოტეხილი დაგტოვა. მის სსოვნას უდიდეს პატივს მიაგებდი და ბოლომდე მისი ერთგული დარჩი. მახსოვს, როცა ქუთაისში ქორწილში მივდიოდით, სასაფლაოსკენ გავდევნივით, საყვარელი მეუღლის საფლავზე, მისი ქანდაკების წინ უზარმაზარი თაიგული მიიტანე. თითქოს ბოდიში მოუხადე, რომ ქორწილში მის გარეშე მიდიოდი. მთელი შენი ცხოვრება ობლად დარჩენილი ბავშვების აღზრდას შეაღიე, რომელთა დედობაც შენმა დამ, დოდომ ითავა. შვილებზე განუვლი ზრუნვა-ამაგამაც არ დააყოვნა და ნაყოფი გამოიღო: გიორგიმ და მაიამ შესანიშნავი ოჯახები შექმნეს. მაია აღმზრდელი მამიდის გზას განაგრძობს - ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა 118 წლის საბავშვო ჟურნალ „დილაში“; ჩემი ნათლული გიორგი გერმანიაშია, ბერლინში საქართველოს საკონსულთროში ვიცე-კონსულის პოზიცია უჭირავს.

ჩემო თენგიზე, ძნელია, ამ ქვეყნიდან რომ მიდიხარ მაშინ, როცა შენი მეცნიერული მოღვაწეობა ქვეყანას დღეს, როგორც არასოდეს, ისე სჭირდება. შენი სიტბო და ალერსი მოაკლდათ შენს შვილებსა და შვილიშვილებს, მაგრამ შენი განვლილი გზით ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა - შენი ღვაწლის დავინყება, უბრალოდ, შეუძლებელია. იძინე მშვიდად და უშფოთველად. დაე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

ოზარ გოცაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი



გვიწოდებთ, მასწავლებლო

მასწავლებელი ის კი არ არის, ვინც ჩვენ გვასწავლის, არამედ ის, ვისგანაც ჩვენ ვსწავლობთ.

დენ ლეგენდა

შენლებული კადრებით ვიხსენებ ბატონ თენგიზ ნივნივაძესთან გატარებულ სამეცნიერო-შემეცნიებით და ადამიანურ (აკადემიურ) ორ ათეულ წელზე მეტს.

ჩვენი მეგობრობა სამეცნიერო დარგში... ჩემ ძირითად პროფესიასთან, ექიმობასთან ერთად ნოველების წერასაც „ვეტიდებოდი“ და ვინ, თუ არა ბატონი თამაზ ნივნივაძე, იქნებოდა ჩემი შემოქმედების ობიექტური შემფასებელი. იმ დროს ბატონი თამაზი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და პოპულარული გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი.

ერთ-ერთი ჩემი მეგობრის რეკომენდაციით მოხერხდა მასთან აუდიენცია. ბატონი თამაზი ძირის ძირამდე ჩაჰყვა ჩემს ბიოგრაფიას, პროფესიას და ვაიკვა, რომ ჩვენ მეზობლებიც ვყოფილვართ – ბატონ თამაზს ჩემ ზემოთ, ერთი სართულით მაღლა უცხოვრია (ჩვენი ოჯახი ახალი გადასული იყო თექვსმეტსართულიან სახლში და მეზობლების უმეტესობას ჯერ არ ვიცნობდი).

„მოდით, შენი ნოველები ჩემთან „მეზობლურად“ განვიხილოთ, თან კარგი გურული ჩაით გაგიმასპინძლდები. მართალია, ფილოსოფიის ნატურული „სამოვარი“ არა მაქვს, მაგრამ ჩაის არომატსა და სურნელებზე პასუხს ვაგებ“.

დათქმულ დროს ბატონ თამაზს შინ ვენვიე. იმ დროს მათ სახლში მასთან ერთად ცხოვრობდნენ მისი და დოდო, ძმა თენგიზი თავისი ქალ-ვაჟით, მამათი და გიორგითი (ნეტავ იმ დროს).

„ჩემო ვაჟა, მოდი, ორმა პროფესიონალიმ დავისწროთ ერთი არაპროფესიონალი, ჩემი ძმა თენგიზი, რომელიც ჩემი შემოქმედების მიუკერძოებელი შემფასებელია – მისი „ვეტოს“ გარეშე ჩემს ნაშრომებს არ ვაქვეყნებ“.

ალმონდა, რომ ბატონი თენგიზი კარგად ფლობდა კალამს და, ჩემი ძირითადი პროფესია რომ ვაიგო, შემომთავაზა თანამშრომლობა სამედიცინო ქიმიის განხრით, ვინაიდან ის სხვა უამრავ დამსახურებასთან ერთად იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი.

არ გაგვიჩვენებია, დაგვესაბუთებინა მიზანშეწონილობა, ჩამოგვეყალიბებინა „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი“. მისი ხელმძღვანელობით დაკომპლექტდა მეცნიერთა ჯგუფი და მრავალი ათეული ნაშრომი დაიბეჭდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

ცენტრისთვის სტუ-ს მეორე კორპუსში გამოგვიყვანეს ერთი ოთახი, პირველ სართულზე, შესასვლელთან, რომელიც ჩვენივე ძალებით დავაამგვანეთ საერთაშორისო მოთხოვნის სამეცნიერო კაბინეტს.

ორ ათეულ წელზე მეტხანს გასტანა ბატონ თენგიზთან ჩემმა თანამშრომლობამ. მისი განსაკუთრებული ნიშან-თვისებიდან მინდა გამოვყო საოცარი პენი – მუდამ კოსტუმითა და ჰალსტუხით დადიოდა. ვინც უნდა შემოსულიყო კაბინეტში, გზააბნეული სტუდენტიც კი, ფეხზე ნამოუდგებოდა და შეხვედრის შემდეგაც ყველას კარგამდე მიაცილებდა. თხემით ტერფამდე ინტელიგენტი იყო. რაიმე წინადადებით თუ მიხვიდოდი, სათქმელს ბოლომდე გათქმევენებდა და ჭეშმარიტებას ისე „შემოგაპარებდა“, რომ ღირსებას არ დაგიკარგავდა. მუდამ ფურცელი და კალამი ედო მაგიდაზე და ყველაფერს ინიშნავდა. მისი კალიგრაფია ხომ ხელნაწერის საუკეთესო ნიმუში იყო. ამ მოგონებებში არ შევჩერდები მის განუზომელ ღვაწლზე – ამაზე მისი კოლეგები იტყვიან... გული მწყდება, რომ კაცი, რომელსაც ჯანმრთელობაზე არასოდეს დაუჩივლია, ასე მოულოდნელად წავიდა. მგონია, რომ ფარულმა განცდამ, ძმების დაკარგვამ და სტრესმა გული გაუჩერა... მისი ფოტოსურათი მისი კაბინეტის კედელზე და მისი თბილი გამოხედვა მიგვანიშნებს – მოუფრთხილდეთ ერთმანეთს!

P. S. ბატონი თამაზის იუბილზე ქალბატონ დოდოს ძმობა შევფიცე. ჩემი ეს ფიცი დღეს უფრო მძაფრია – „ლიტერატურულმა საქართველომ“ დოდოს მფარველობით ძველებური ხიბლი და ავტორიტეტი უნდა შეინარჩუნოს.

გია სულაქველიძე

ლოლო ნივნივაძე

მართლა არ ვიცი, რა ვთქვა – ამდენმა თავს დატეხილმა უბედურებამ სათქმელიც აღარ დამიტოვა...

მე, ვისაც პირველად მამა მომიკვდა და დავიტირე; მე, ვისაც შემდეგ დედა გარდამეცვალა და ეს ძლივს გადავიტანე; მე, ვინაც ჩემი სათაყვანებელი ძმები, თამაზი და მურადი დავკარგე, რაც უმძიმესი დარტყმა და გაუსაძლისი ტკივილი იყო ჩემთვის, სიკვდილს ისე შევეჩვიე, აღარ მეგონა, ჩემი უფროსი ძმის ამ ქვეყნიდან წასვლა ასე თავზარდამცემი თუ აღმოჩნდებოდა ჩემთვის, გონს დაგვარგავდი და რამდენიმე დღით საავადმყოფოში აღმოვჩნდებოდი...

არადა, ბოლო სამი წელია, ჩვენი ოჯახი შავებშია გახვეული. სამი წელია, ნივნივაძეების ოჯახის წევრები ყოველ მეორმოცე დღეს უფლის წინაშე დგანან და პატარა ბავშვის თავმდაბლობით უყვებიან თუ როგორ იცხოვრეს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და როგორ იარეს ქრისტეს გზით...

როგორც ვტყვობა, უფალს მოეწონა პირველი ძმის, როგორც უწმიდესი ბრძანებდა, „ღვთის პირით მოუბარი კაცის“ პასუხი და გაიფიქრა, იმ ქვეყნის საქმე, რომელსაც ქვეყნისათვის გამოსადეგი კაცები არ სჭირდება, კარგად ვერ იქნებაო და სულ მალე მეორე ძმაც გაიყვანა ამ სოფლიდან...

ერთი სიტყვით, სიკვდილი თავის საქმეს აკეთებდა... ოჯახში მარტოდ დარჩენილი უფროსი ძმა კი თავისას!

თენგიზი თავისი ძმებისგან ძალიან განსხვავდებოდა. თავისებური იყო, არავის ჰგავდა. „დადიოდა ამქვეყნად არავის მიმსგავსებელი კაცი“, როგორც მისი ძმა, თამაზი ამბობდა. თენგიზი მარტო ებრძოდა თავის დარდას და საქვეყნო საქმეს! დარდი კი, იცოცხლე, დიდი ჰქონდა! დიდხანს ებრძოდა საკუთარ ტკივილს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, მერე საკუთარი მეთოდი შემოუშავა – ყოველ დღით ადრე გადიოდა სახლიდან და თავისი უღამაზესი მეუღლის საფლავზე ყვავილი მიჰქონდა. როდესაც ყვავილების დიდ შეკვრას მიუტანდა, ნონა, ალბათ, ხვდებოდა, ქმარი ქალაქიდან გადიოდა! ჩემი ძმა, თენგიზი, ჭკუადაამჯდარი მეცნიერი იყო. იშვიათად ნახავთ ასეთი მონუსრიებული ხედვის მქონე მეცნიერს, რომელსაც სამყაროს მთლიანობის შეგრძნება ესთეტიკის დონეზე ჰქონდეს აყვანილი...

თავისი მეცნიერული მიღწევებით ხშირადაც გაუოცებია კოლეგები! გაოცება ვერც არ უნდაო და, იმატა შურმა... ამის გამო თამაზს ხშირად დაუდანაშაულებია საკუთარი თავი და კიდევაც უთქვამს: დღევანდელი გაუსაძლისი მდგომარეობის ჩემული შეფასება ასე საჯაროდ რომ არ გამოემთქვა, შენ არ დაისჯებოდი... მაგრამ შენ ის კაცი ხარ, რომლის სახელსა და გვარს ნაჯახითაც ვერ ამოჭრიან



ულრმეს მაღლობას მოვასხენებ ყველას, ვინც პრესით, სოციალური ქსელით თუ უშუალო თანადგომით გამოხატა მწუხარება და გაიზიარა ჩემი უსაზღვრო ტკივილი ძმის – საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თენგიზ ნივნივაძის გარდაცვალების გამო.

ქიმიკოსთა საზოგადოების ისტორიიდან.. თენგიზი ძმის წუხილს ყოველთვის ღიმილით გაატარებდა ხოლმე!

მართლაც, ჩემი უფროსი ძმა არავის ჰგავდა – არც საკუთარ ძმებს! სიკვდილიც კი განსხვავებული ერგო წილად!

თუ ორივე ძმის გადასარჩენად, მათი ჯანმრთელობისთვის თვეები ვიბრძოდი სახლში თუ საავადმყოფოში, ამჯერად ხელიც კი არ გამინძრევია.

თენგიზი ფეხზე ამდგარი შეეგება თავის აღსასრულს!

სავარძელში იჯდა და გვესაუბრებოდა ორ ცხოვრებაზე – აქაურსა და იქაურზე და გვიხსნიდა თუ რატომ ვერ ვხედავთ გარდაცვალების შემდეგ ჩვენს საყვარელ ადამიანებს. ცხოვრება გარ-

ამ სოფლად იყო, წუთის წიკის წიკ ქვეყნად გადასახლდა!

„წუთი – სოკელი“ ჩემ თვალწინ გათამაშდა! ის წუთი ჩემთვის ზღვრულად ქვაც იყო, ერთი საბოლოო ამოსუნთქვაც და იქვე მზა საფლავიც! ამას ყველაფერს ვუყურებდი, მაგრამ რად გინდა, წუთი – სოფლის ჭეშმარიტება ჩემთვის დაფარული, გონებაშიუნდომელი იყო, მისი შეცნობა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა – ძმა ვერ გადავარჩინე!

წუთისოფლის ერთი მგზავრი მარადისობაში გადასახლდა...

ძმაო, შენი არყოფნის გამო ამიერიდან ჩემი ცხოვრების წესიც შეიცვლება (თუმცა აქამდეც შეცვლილი არ იყო!) დედის გარეშე დარჩენილ შენს ორ პატა-

ჩემი ქაჯი



დაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა, დაგვიამედა და გვაცნობა, ამაზე ნიგნის დანერას ვაპირებო... ადელეებით ლაპარაკობდა, მომჩვენა, თითქოს ვილაცის გამოწვევა უნდოდა კამათში. მერე სავარძლიდან წამოდგა, აჩქარებული ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში იატაკზე დავარდნის ხმა მოგვესმა...

ჩემმა ოჯახმა კიდევ ერთი დიდი ტკივილი განიცადა!

ოჯახმა დაკარგა თავი კაცი! გიორგიმ და მაიამ – მამა!

საბამ, სოფიმ და ნიკომ – ბაბუა! მე – უფროსი ძმა!

საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიამ კარგი მეცნიერი!

ახალგაზრდა თაობამ – კარგი ლექტორი და ჭკუის დამრიგებელი!

უფალმა კიდევ ერთხელ გვაქცია ზურგი!

სიკვდილმა კიდევ ერთხელ გააკეთა თავისი საქმე, თანაც ერთ წუთში! წუთის დასაწყისში ჩემი ძმა აქ, ჩემ გვერდით,

რას ვზრდიდი! თუკი ადრე შენი იმედით შემეძლო თუნდაც დილის ძილი ცოტა ხნით მაინც გამეხანგრძლივებინა, ახლა, უშენოდ დარჩენილს, მომიწევს დღით ადრე ადგომა, მეტი ფიქრიც და გარჯაც – ახლა ხომ შენს შეილებს აღარც დედა ჰყავთ და აღარც მამა!

ასე მოხდა – ბოლო სამი წელია, ჩემი ოჯახიდან მიდიან ჩემი სათაყვანებელი ძმები: თამაზი, მურადი და ახლა თენგიზიც!..

ჩემმა ძმებმა ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან სიბერე გამოტოვეს და პირდაპირ იმ ქვეყნიურ ცხოვრებას შეუდგნენ!..

მე კი ამ ქვეყანაზე ასეთი სახელით სიარული მომისაჯეთ – სამი მკვდარი ძმის დაო...

მეც მინდა, სიკვდილს გამწარებული დის სახელით შევთხოვო:

„ძმებიც ხომ მომიკალ, მეც მომიკალ, რა ვუთხრა მაღლსა ღვთისასა!“

ვიცი, გამობრახდებით, განსაკუთრებით შენ, თამაზ, და უკვე მერამდნედ მეტყვი, ადამიანმა მარტო თავის თავზე არ უნდა იფიქროს! ზეციურ საქართველოში დამკვიდრება თუ გინდა, გეტყვი, კარგი გაკეთებული საქმეებით განისაზღვრება საუფლოში დამკვიდრება, რაც მანდედან, წუთისოფლიდან იწყება...

თენგიზ, შენც ამის თქმას ცდილობდი, ალბათ, იმ ღამით:

ცხოვრება გარდაცვალებით არ სრულდებაო!..

ბიჭებო!!! გამადლობთ იმ სიყვარულისთვის, რაც თქვენგან მიმიღია!

ბიჭებო, გამადლობთ თითოეული იმ წამისთვის, თქვენთან რომ გამოტარებია! და კიდევ იმისთვისაც, პატარაობისას ჩემი სიჯიუტის გამო რომ არ მიბრახდებოდით!

უფალო, გამადლობ იმისთვის, ამქვეყნად თენგიზის, თამაზისა და მურადის დად რომ მომავლინი!

ლოდი

სამი მკვდარი ძმის და



ჯემალ ინჯია

გაზაფხულის მოსავალი – გაზაფხულის მოსავალს

ამ ბოლო რამდენიმე წელიწადში ჯემალ ინჯიას სამი წიგნი გამოვიდა. „ფარული ჩანაწერები“, რომელიც გორის „მწერალთა სახლმა“ გამოსცა, წარმოადგენს მწერლის დღიურებს უთარილებოდ, ანუ მოცალეობის უამის ჩანაწერებს, რომელთა მთავარი თემებია ლექსი, ყოველდღიურობა, ურთიერთობები, შეხვედრები, მოგონებები, ჩანაწერები და შენიშვნები. წიგნი ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ისეთი დრო და ამბები, რომლებსაც, ჯემალ ინჯიას გარდა, ვერავინ გააცოცხლებდა.

გორი

მე ქება მითქვამს მეგრულ მაყრულის, ძველი არმაზის მწუხრი ვინამე, მაგრამ გორი მყავს მე გულნაკლული და ამ ცოდვილ თავს ვუხრი მინამდე.

მე არ მახსოვდა გორიჯვრის ფერდი, როცა დარიალს ვუქებდი ექოს. ბერძნებზე ვწერდი... მითხარი ერთი, რა დამიშავე, ქართლელი გლეხი?!

რად დავივინყე შენი კილოი, აბა, რით არის სათაკილოი! ბევრჯერ ჩემ თვალწინ დადგა მთანმინდა და გორის ციხე სად გადამცილდა.

მე შემეჩია ზღვების სტიქია, ვეტრფოდი მარტო ტალღების ტორტმანს და ეს კი დიდი სისასტიკეა შენდამი, ჩემო პატარა ტორტლავე.

მე ქება მითქვამს მეგრულ მაყრულის, ძველი არმაზის მწუხრი ვინამე, მაგრამ გორი მყავს მე გულნაკლული და ამ ცოდვილ თავს ვუხრი მინამდე.

ჩემი კოტეჯი

შენ გაუთენე აღდგომა სიხარულისა და მარხვა სინანულისა.

ქონა

არ გაიკეთო ქაჯის ნილაბი, არ შემომინო ხვალის იმედი. გულს უჩინარი ჯაჭვით მიგაბი, მაშ, მომანიჭე ხალისი მეტი.

არ დამილიო ჩემი მარილი, არ შემახვედრო ავ და მდიდარ ცოლს. არ მანანნალო ამბოკარივით, კეთილდღეობა არ დამითარსო.

არ მატრილო ტრილო მინდორზე, თვალი არა მცეს უცხო ნადირმა, უდაბნოში რომ წყალი მინდოდეს, არ მაპოვინო ისე ადვილად.

არ მაცვლევიო არსობის პურზე მინა ქართული, რინა, ენგური, არ დამინგრიო მინისძვრით ფუძე, არ შემინუხო მიცვალებული.

კეთილამყოფე, თუკი არსებობს, ჩემი მსაჯული და მოსამართლე. დასვენებამდე არ დამასვენო, ნურც განითლებს უნარს წამართმევე.

ნუ ჩამიწყვიტავ ხმასა და ბგერას, ჩემი ირაო ცაზე მოხაზე. ალუბლის თეთრი ყვავილის პერანგს ნუ გადამიცვლი ბერის ჩოხაზე.

ნუ დამიბეჭდავ ყველა ხელნაწერს და ნუ განმტვირთავ ყველა ჯავრისგან, ნუ გამომაკლებ ბედნიერთა წრეს, ნურც იღბლიანთა რიგში ჩამრიცხავ.

ნუ დამავინყებ ფასს სინანულის, სული შთაბერე ამა წერილებს. სულ ღვინით საგსე თასი მამულის სადღეგრძელებლად ამანევიწი.

აკრძალულ ხილზე ნუ მეტყვი უარს, მერე დამსაჯე, მანანებინე. უვადოდ შენი მათხოვე ჭკუა და უზომოდ ნუ გამანებივრებ.

მწვანე აპრილის ქართა მოსვლამდის სული ამინთოს ირმის ნახტომმა. თუკი წამაქვევ – სამშობლოსათვის – დაე, ეს იყოს ჩემი აღდგომა.

მჯავა

საყვარლისთვის ხელი ჩამივლია და სახლის წინ ღვინით ჩამივლია.

მყვირალობის ხმა რომ გამიგია, გზაფხული ფეხქვევ გამიგია.

ვიცქირები ირგვლივ დაბნეული. დახტუნაობს სეტყვა დაბნეული.

ვისი მკერდიც ტრფობით დაისრულა, მან სიცოცხლე თოკზე დაისრულა –

ესენინის ლანდი მელანდება და ჩემს ძარღვში სისხლი მელანდება.

რაც თვალთაგან ცრემლი გამოიყო, ძველ რუსეთში ამის გამო იყო.

თუ თოკამდე ჩემიც დავა ნება, არ მეღირსოს მშვიდად დავანება.

შენს ნიაღში, მინავ, საყვარელო, სასხვიტორევე, საქსნევე, საყვარელო...

კოსბირინთი – შუმანის „ქაჩნჯაქოი“

შანდლების შუქზე უკრავენ შუმანს თითები ჩემგან დაკოცნილები. ლაბირინთებში მიყვები გუმანს ხატზე მლოცველის გამოცდილებით.

თითქოს დარბაზმა სუნთქვა შეწყვიტა, აყოლილია რიტმების ტოკვას, ვგრძნობ არეკილ სხივს ოქროს ძენკვიდან ჩვენ შორის გაბმულ იდუმალ თოკად.

შუქის და ჩრდილის ფარდა შრიალებს და ფიქრი, სანთლის ნვა რომ ართულებს, გვამსავსებს პაუზებს ფარ-დაშინანებს, ძველი კოშკიდან წამომართულებს.

როცა გადვილის უბრალო ბოგირს, უსიერ ტყეში შევა მსმენელი. უკვალავ ბილიკს გაჰყვება, როგორც სდევს ქვემდებარეს შემასმენელი.

შენი განგებით ვვემორჩილებით შანდლების შუქზე შეაბჯრულ შუმანს. ფოთლები, სარკმლით შემოჭრილები, ეფინებიან ხალიჩას ჩუმიად.

ჩა აჩინს ნიყვარული

როცა თქვენს თვალებს ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცევათ ერთი და იგივე სახის დანახვა, დაეძებთ ხალხში ან სიზმარში სთხოვთ მოვლინებას, თუ ვერ შეხვდებით, თვალმოკვრაზეც რომ ხართ თანახმა, როცა ერთადერთ ბგერას იჭერს თქვენი ყურები აურზაურში, სადაც ძალი ვერა ცნობს პატრონს, როცა ორნი ხართ ხალხის ზღვიდან გარიყულები ბნელ ხეივანში და უმთვარო საღამოს ნატრობთ,

როცა თქვენს ტკივილს დაგავინყვიოთ მისი ტკივილი და ავადმყოფის მიერ ნუთით დახუჭვა თვალოთა თუ მოგეჩვენოთ ტვინარეულს წმის სიკვდილობით და მწუხრი ტანზე იგრძნოთ მძიმე, სისწლიან კვართად

ეგ გახლავთ სწორედ საყვარული, ბატონო ჩემო, ვნების სურამი დამწყვედული არი ჯინივით. ზოგჯერ ტკილია, ზოგჯერ მწარე დაჰყვება გემო, ხან ერთდროულად ტკილ-მწარეა დარიჩინივით.

ჩუყ

ყველაზე გამხდარი სონეტი

- რუ
ვის
ჰგვრის
ბრუს?
ყრუს,
ვინც
ძლივს
დუმს.
ტყეც
არ
ცნობს
დღეს
ავ
სნობს.



ციტანი მაქარაშვილი – დაიბადა თბილისში 2001 წელს. დაამთავრა კერძო სკოლა „არქიმედე“. ამჟამად სწავლობს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთ-ერთობების მიმართულელებაზე დიპლომატიის განხრით. გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებული „ედემის ჩრდილი“, რომელშიც შესულია 2015-2019 წლებში დაწერილი ლექსები.

TRIOLET AU LIEU DE VACCIN

ვატან ტრიოლეტს, ნაცვლად ვაქცინის, ფრინველს, მოფრინილს, ღია სარკმელთან, მე აღარ მოვალ და ნუ დამიცდი, თავს უშენობის აცრით ავიცრი.

ვატან ტრიოლეტს, ნაცვლად ვაქცინის, რადგან კიდა Musk-ის რაკეტა, ფრინველს, ფრინველო, მისკენ გაფრინდი, მისკენ, ვინც გელის ღია სარკმელთან.

თბილისური იქიყოდი ანუ ოქსიფანის სოფიყოფი

ფიქრი მე სანატრი მიმინვეს ცისა ქედს, რომ ემხით დამდნარი, შევეერთო ლურჯსა ფერს. ნ. ბარათაშვილი

დგას საკვირაო წირვის საღამო და კოტე მესხის ქუჩაზე ანვდილ, ლურჯი ფრინველის, ისმენს საგალობელს, რომ შეახოს აივანს ჰანგი და აივანზე ფარაჯანოვის, პირბადიანი სოფიკოები დადგენილებას ჭვრეტენ ჯანმოსი. თბილისზე, თოვლით მძიმე რტოები იმტვრევა. გახსნის მელიზე პასუხს უარყოფითი PCR ტესტის – არ ეკარება თბილისელ აშულს ვირუსი, რადგან ცა იცავს ლექსის! ცა იცავს ლექსის! ცა იცავს სტროფის! რადგან თვით ცაა ენის დენაში! და ენის დენა, არ ოდენ ჰყოფნის, არამედ all in-ს შედის ენაში! დგას საკვირაო წირვის საღამო და კოტე მესხის ქუჩაზე ანვდილ, ლურჯი ფრინველის ისმენს საგალობელს, რომ შეახოს აივანს ჰანგი...



ინფორმის, მისი პირველი ხუთი დღისა და რაულ ჩილაჩავას ახალი თუ მოსავალი ნივთებისა

სხვა შემთხვევაში ალბათ დავინერდო, რომ ეს ყველაფერი ომიდან გამოვზავნო დეპრესიას ჰგავს. თუმცა რაღა აქვამა?!

- 24 თებერვალი, 11:40: კიევის ცენტრში ჩამოაგდეს რუსეთის უპილოტო თვითმფრინავი.
24 თებერვალი, 13:46: ზელენსკიმ გამოაცხადა, რომ უკრაინაში განხორციელდება დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან.
24 თებერვალი, 14:55: უცხოელები ტოვებენ უკრაინას.
24 თებერვალი, 14:56: ზელენსკიმ შეიტანა რაღამო კანონპროექტი საერთო მობილიზაციის შესახებ.
24 თებერვალი, 14:58: ახლა გამოაცხადეს, რომ ოდესის ოლქში ავიადარტყმისგან დაიღუპა 18 ადამიანი.
24 თებერვალი, 15:05: გამოიხდინენ უკრაინის არმიის მიერ აკვიანილი პირველი ტყვე რუსი ჯარისკაცები.
24 თებერვალი, 16:48: „ნოვია გაზეტას“ მთავარმა რედაქტორმა, მშვიდობის დარგში ნოვოლის

- 26 თებერვალი, 17:29: უკრაინის ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრმა ეს ნუთია დანერგა, რომ გერმანიაც დაიანბნა სივრცითი რუსეთის გამოორთვას წრე შეეკრა!
26 თებერვალი, 20:18: (ნარინერა ფოტოზე) ევა თავიგესაფარმა. დღეს მეთიხედ. რისთვის, უფალო!
26 თებერვალი, 20:23: რუსეთის გამოორთვის ტვიტერში
26 თებერვალი, 20:59: ვიქნები კივდე? თუ სიტყვაასთან. სულ მალე.
26 თებერვალი, 22:09: მესხეთე საპარო განგამი დღეს. ისევე ბუნკერში!
26 თებერვალი, 22:22: კიევი გამარჯვების მოედანი. ცენტრი. დღეს. უკრაინელები იგერებენ რუსების DPT-ს (სადე ზეგროდივერსილ უგუფს).
26 თებერვალი, 22:27: ჩვენი ბუნკერი (კრთვის ვიდეო).
26 თებერვალი, 23:25: ჩემო ძვირფასო მეგობრობო! უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ამ დღეებში მეზობანებით, მამხივებით, გამარჯვებას უსურვებთ უკრაინას! უფალომ დაგიცვლა ყველა იმ კომპარისგან, რასაც ამ დღეებში აქ განვიცდილთ. უფალო გფა-

ზოგმა ანუგემა – ცოტა ხანში ორბაგ საამოვნებას ჩაატანო; ერთმა, მგონი, დასცინა კიდეც – კოლხური კარალოცი მიორითეთ; სხვამ – რა დროს ლუდა, მთავარია მშვიდობიანი ცა გვხუროს თავზე; კიდევ სხვამ კობტად მოუკალამბურა – ღიჟი გვყავადეს კარგად და ლუდიც მალე იქნებაო!

რომ გამოიხრათ თუ პირველად რომ აღმოჩნდა ევასთან ერთად... დაიწყეს რომ ალმონცხირე ბომბსაფარში, ზუსტად იმ დღეს დაეპოვებო გურამის ადვინელთა უფლებების თარგმანი. ამით უნდა დაეინყო ნივინო. ესეც ხომ მისტიკააო!



ლიბროკუბიკულარისის უთანანერბი

კაატა ნასვლირვილი

პრემიის ლაურეატმა დიმიტრი მურაგომბა განაცხადა, რომ პარასკეის მისი გახუთი გამოავა რუსულ და უკრაინულ ენებზე. ის არ თვლის უკრაინას მტრად და უკრაინულ ენას უცხო ენად.

ჩემი დასავალი საპარო განგამი. საპარო განგამის გამო უკრაინის რადიოს მენეჯერი მქონდა გადაცემა. თანამშრომლები იმყოფებოდნენ ბუნკერში. ახლა განახლებს ვითრი!

ნა! რა დღეშია საქართველო, რომელსაც რუსული ჩექმა ადგას ყელზე და თუ ეს ომი უკრაინის ფარგლებს გასცდა, პირველი მხვევრალი, რა თქმა უნდა, საქართველო იქნება!

XXI საუკუნეში მასმედია უფრო და უფრო კარგავს ნდობას, უფრო და უფრო შორდება ინფორმაციას და უფრო უახლოვდება დეზინფორმაციას – ანუ ინფორმაციის გაგვერდების საშუალებიდან პროპაგანდისა და საინფორმაციო ომის საშუალებად იქცევა. ამ ფონზე სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინდივიდუალური მედია – სოციალური ქსელების სახით. და თუმცა არც პირველი არ გამოიციხავს ბოლომდე ობიექტურ და მართალ ინფორმაციას და არც მეორეა ბოლომდე დაზღვეული პროპაგანდისა თუ სოციალისტიკანი, გააბლუბლ საინფორმაციო ომებში საზოგადოება ინდივიდისაკენ იხრება. ომიდან გამოვზავნო დეპრესიას ჰგავს-მეთქი, – რაულ ჩილაჩავას ფეისბუქ-პოსტებსა თუ სტატუსებს ვგულისხმობდი, რომელიც ამ დღეებში ალბათ უფრო მეტი ადამიანი ადევნებს თვალს, ვიდრე რომელიმე ყოველი ჩამოცემის ან ბუხს-რომ-არ-აიფერენს ტელევიზიას. ან როგორ გინდა, გულგრილად ჩამოსკროლო მოკლე-მოკლე მულედეებით დადებული მოკუნათა თვითმხილველისა და უშუალო მონაწილის ერთ-ორსტრიქონიანი სტატუსები, რომლებიც იგი ადგენს, რა და როგორ ხდება უკრაინაში, მისი შეილების მშობლიურ კიევიში, როგორ ტოვებენ ისინი თავიანთ სახლს, როგორ მიგრირებენ დასავლეთსაკენ, როგორ უღამდებია და უფინდებთ ბომბსაფარებში, როგორ ცდილობენ, თავი დააღწიონ ომის ქარ-ცეცხლს და სამშვიდობოს გამოვიდნენ.

და რა ენაზე დავინერდი, რაული რომ ვიყო, იმ ნივინ? ალბათ ყველა ჩემთვის ხელმისაწვდომ ენაზე – ქართულზე, უკრაინულზე, რუსულზე, თუნდაც საყველბური ინგლისურზე თუ გერმანულზე, ვინილო – მეგრულზეც, გურამ ოდიბარის იმ სულსმებრელი ტექსტის ფრაგმენტები, რა თქმა უნდა, უკრაინულად იქნებოდა. მამონე-რას იმ ენაზე დავტოვებდი, რა ენაზე იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მესინჯვრება შემონახა, ქრინიკას ალბათ უფრო ინგლისური მოუხდე-ბოდა. ვინ იცის, კიდევ რამდენი სათქმელი და რამდენი ფორმა გამოიღებოდა... ერთი სიტყვით, დავინერდი მულტიკანრულ და მულტილინგვურ ნივინს, რომლის მსგავსის დანერგა მსოფლიოში ალბათ მხოლოდ რაულ ჩილაჩავას შეუძლია.

